

ବିଦ୍ୟାଲ୍ୟର



№ 59.

ଅଧିକାରୀ ପରିଷଦଙ୍କ ପରିବହନ ପତ୍ର

№ 59.



ଗଣା କ୍ଷାପକ୍ଷାବାଦୀ.



ଲ୍ୟାଙ୍କ ଫୋଲ୍ଡ୍‌ସଟଳୋ.

“ არა უსოლველი სირცევილის წლის თავი ”

ის კაცი იყო, ვით შემდებრის კაცსა კაცობა...
ამ ველარ გნახავთ იმის მზგავსა ჩვენს სიცახლეში!
(ჰამლეთი)

შესრულდა ერთი წელიწადი, რაც დიდი ილია
აღარა გვყავს.

შარშან 30 აგვისტოს, ხუთშაბათ დღეს სამის
ნახევარზე საგურამოს გზაზე ქართველებმა დახვრი-
ტეს და ტყვიებით დაცხრილეს საქართველოს შუბლი!

ეს საზარო ამბავი დღესაც ისეთი მწვავი და
შეურაცმყოფელია, როგორც პირველ დღეს—თით-
ქოს ერთს წელიწადს კი არა ერთს დღესაც არ
განევლოს მას შემდეგ.

ილია ჭავჭავაძე ერთი უდიდესი და უშესანი-
შნავესი კაცი იყო მეცხრამეტე საუკუნისა. ილიას
რომ საზღვარ გარედ ეცხოვრნა და ემოლვაწნა იგი
ბევრს მსოფლიო დიდების დასჩრდილავდა ქვეყნიე-
რობაზე.

ილია ნაწერები, მისი პოეტური ხატება-
ქმნილებანი უკვდავნი არიან, ვითარცა უკვდავია
თვით მათი დამწერი.

ილია ჭავჭავაძე ერთად ერთი კაცია ჩვენში,
რომელსაც მსოფლიური, კაცობრიული ელფერი
აქცევია.

ჯერ არ დამდგარა ილიას დიადობის აღნურ-
ცხვისა და დაფასების ხანა; ხოლო რაც დრო გავა,
წლიდან წლიდამდე, თან და თან უფრო გაიზრდება
გაბუმბერაზდება, აღმალლდება უმწერვალესს კენწო-
რამდე ილიას მნიშვნელობა—უკვდავი დიადობა.

რაც კი სამოციან წლებიდან ლირს შესანიშ-
ნავი და საშვილის-შვილოა ჩვენში ყოველივე ამას
ილიას დიდების ბეჭედი აქცევია.

რაც კი ქართველობას სასიკეთო და სამე-
რისო გააჩნია ყოველივე ესა ილიას მადლიანის და
კურთხეულის მარჯვენის ნამოქმედარ-ნაჭირნახუ-
ლევია...

და რაც დრო გავა, რაც უფრო მეტად მოვ-
შორდებით 30 აგვისტოს 1907 წ. სამარცხვინო აქტს
მით უფრო მეტის ძლიერებით, მეტის შეგნებით და
აღშფოთებით უსამზღვრო ზიზლით აღბეჭდილი იქ-
ნება ქართველთა გულსა და ხსოვნაში ის უმაგა-
ლითო „ხამიბა“, „რამაც იმსხვერპლა „ჩვენი ილია“!..

უმჭველია, მკითხველები გულ დასმით წაიკით-
ხავენ ილიას პასუხს ქართველ სტუდენტებისადმი
და ბოლო სტრიქონებში ამოიკითხავენ ილიას
რჩევას: „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყ-
ვარულს ანაცვალეთ ყველიფერი“-ო! სწორედ ეგ
არის მთავარი მუხლი ილიას ანდერძისა და ჩვენც,

ვისაც კი ქართველობა სწამს, ეს მარტივი ანდერძი
უნდა გავიხადოთ ცხოვრების საგნაც შესრულებული

თითქოს ცაცხალსა ვხედავდე მულები უშესებული
გას თვალშინ მისი ნაკვთისებური, გენისტის ლა-
უვარდით გაბაღრული სახე, ყოვლის გამსჭვრეტი
მოლიმარე თვალები, იგი თითქოს თავისებურის,,
ილიასებურის, კილოთი აშბობს:

ჩემი კარგო ქვეყანავ. რაზედ მოგიწყენია?..

აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!.

ოლონდაც ეგ მომავალი ჩვენია, რადგან ეგ
მომავალი ილიამ შეკემნა, ილიამ მოამზადა, ილიამ
შეკედა!

— ია.



ილიას საფლავე

ჰოი მთაწმინდავ, დიდებულო ძეგლო წარსულის,
შენ გაბარია თავშესაფრად საუნჯე ჩვენი,
შეინახევი წმინდა ნეშთი ქართველთა ერის,
რომ „ბრძოლის უმას“ მან აღმართოს ძლიერი ბჭენი...
ჩვენი დიდება, სიამყაყ წმინდათა წმინდა.

იქა მარხია, იმ მაღლობზე... და უგუნური
ბოროტება ლიდ „სამარცხვინო საქმეს რომ ქმნიდა“
განა უწყოდა ვის შეახო ხელი ბინძური!

ჰოი მთაწმინდავ, მამავ დავით და თქვენც ლრუბელნო
დაიკეთეთ, და შეარყიფთ სამყარო მთელი!.
თქვენც ბუმბერაზნო და ამაყნო კავკასის ქედნო,
დროა დასძახოთ: „წამებული აღსდგა ქართველი“!

დემონი



ილია ჭავჭავაძის პასუხი ქართველ

სტუდენტებისადმი

მოწყალეო ბატონებო, მე დიდ პატივად მიმა-
ჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოი-
თხოვეთ გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი
მაღლობა ამნაირ ჩემ მიერ არა დამსახურებულ პა-
ტივისცემისათვის. ხოლო ის-კი უნდა მოგახსენოთ,
რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლშუა დამაყენა.
ერთის მხრით ყოვლად პატიოსანი გულთა ძეგრა
თქვენი დამიტგა თვალშინ, გულთა ძეგრა საქვეყნო,
გულთა ძეგრა ბრწყინვალე და დიდებული, რომ
ლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით
მუხლი უნდა მოიღრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა.
მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილებით
აღსავსე გულთა-ძეგრამ აღმოგიშობათ სურვილი
ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიშართოთ

ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ შვერინის და ყოვლად თავ-მოსაწონებელს გულთა ძერას და განსამენევებლად თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებული საქმისათვის თავ-გამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას.

კაცთა საუბრებულოდ დღევანდელი დღე, მუშ-ტისა ძალა, ჰენავს აღმართსა, მით უფრო საქებ სადიდებელია ულონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ. რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის დაემჯობინება მთელ სპალახერსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამისს მაგალითს დღეს თვალ წინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება ლა ამაზედ უდიდესი მაგალითი არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველს სტუდენტობას გული ან-თებია თანაგრძნობით, კვნესით შეპატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცია ამ მხერვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთ პატიოსან გულთა ძერისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ, მაგრამ, რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან იმ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთ-ნადები არ მოგახსენოთ გულახლილათ.

ჩემი შობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველო. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. იმისდა მიუხედავთ, რომ ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო რჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — რა ხართ თქვენ უმაღლესის სწავლისათვის გაღავე-წილი ქართველნი, თქვენი შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, გისისა-ლა იმედზედ დარჩეს? აშკარაა, იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

გარდა ამისა დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიტყდა აქაურ სომხებთან და ამ დროს რამე მიზეზი რომ მივცეთ მთავრობა ჩვენზედ ავის თვალით მოახე-

დონ, ჩვენი საქმე დიდს ხიდათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგველუპება. თქვენ მიერ განზღაული თუ ასრულდა საიდუმლოდ არ დარჩება, დიდი მიზანის რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად ორ გამოიყენონ – ის სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი და მაშასადამე ბედი თქვენის ქვეყნისა ამ საფრთხეს და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძერის გარედ გამოფენისა და მაშასადამე საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა. არც თავის დღეში ეჭვი არ მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილ კაცობას გული არ ებრძოდეს, არ ერჩილეს ყოველ პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისათვის ვერ გავწირავთ ვერას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოგახმაროთ და ამისთავის ყველა სხვა წყურებილი უნდა მოვიკლათ.

ნუ მიწყენთ რომ მოგახსენოთ ჩემი-კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წისულხართ, ისწავლეთ ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურცი იქით გადიხევთ ნურც აქეთ მარტო სწავლა ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ამ დროს უუძლიერესის ფარხმალით მიდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსაეს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბეღიიერებასა. ჩვენი ქვეყანა იმითი-კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი რომ მცოდნე, გონება გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. ის თქვენი თავი რად ვილირს ასე ძირიად და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს რომ, სხვისათვის არც ერთის თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ. თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საკირონი.

იქნება დამძრახოთ, და მაინც-კი ვიტყვი, რომ იქ საცა ერთის მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზედ, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ და რაც ჩვენთვის საქმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მო-

სარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი რო-
მელიც თქვენს სწავლა—ცოდნას წყურვილის წყა-
როს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსა-
ცდელისა ცდომაა, ისევ ისა სჯობია კაცი განსაც-
დელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი,
იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვე-
ყანა უკაცრობით ღონე მიხდილი და ჯან გამო-
ლეული.

უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვე-
ყანას, არ ამოგიფხრობდით გულიდგან მაგ პა-
ტიოსანს გულთა თქმას. შიში განსაცდელისა აქ
საბუთიანია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი
ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.
„საღაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამიცი-
საგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის
შვილისა.

ილია ჭავჭავაძე



ბ უ ლ ბ უ ლ

(ვუძღნი დიდებულ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას)


ბულბული ნაზი და ტკბილ-ხმოვანი,
მოვლინებოდა დაღვრებილ არეს;
დაჲკვნესდა მწირედ ნუგეშ მოკლებულთ
და თან აფრქვევდა ცრემლსა მდუღარეს!

ხან ძირს დაჲტრენდა და მდელო-ჩირგვებს
ის საამურად დაამლერებდა;
ხანაც-კი ციურ უსაზღვრო სივრცეს
თვის სტვენა-ჭიკჭიკს შეუერთებდა!

მინამ დაფრენდა ის თვისუფლად,—
ასე თანაბრად ყველას ამკობდა;
ტანჯულთ თვის სტვენით ნუგეშსა სცემდა
და გასამხნევად კვლავ უგალობდა!

მაგრამ ვერაგვა, მხეც მონადირემ,
განგმირა იგი, დაუხშო ენა;
და მით მოაკლო ტანჯულ ქვეყანას
იმედიანი მედგარი სტვენა!

ლადო გეგჩერი



მუდამ მოგზადებული ილია

ქვეღ ქაღალდებს ვათვალიერებდი და წავაწედი
იდა ქავჭავაძის ერთ მოწერილ ბარათს, რომელშიაც
განსვენებული თავის თავს თითონ ასასიათებს. ვფიქრობ,

ვინც იდა ქავჭავაძის მოღვაწეობის დაფიქტას ზოგი-
თებს, ეს პატარა წერილიც გამოადგება ერთ კრებული
ვლე მუშალებული ერთეული

„მმაო ვლედიმერ, დღეს საღამოზე“ სამეურნეო
საზოგადოებაში“ საზოგადო კრება არის და კირიმ-
გირეის მოხსენება იქნება შესხებ აქაურ ენების
ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინააღმდე-
გე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქ-
ნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუ-
ზეადებლად არსად წავეჩხირო, ამიტომ დღეს სამ-
სახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზა-
დისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სა-
დილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბო-
ლიშ ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქვეფი ყო-
ველთვის სანატრელია და სასურველი.

შენი ილია ჭავჭავაძე

ვბეჭდავთ ამ საყურალებო წერილს. რომელ-
შიაც ჩვენი სასიქადულო მგოსანი, პუბლიცისტი
და საზოგადო მოღვაწე ამბობს: „ჩვეულებად მაქვს
მიღებული მოუმზადებლად არსად წავეჩხირო.“

ჭკუის მასწავლებელია ეგ წერილი.

კაცი, რომელმაც მრთელი თავისი სიცოც-
ხლე სწავლაში გაატარა, რომელიც ყოველ დღე იმის
ფიქრში იყო ახალი რამ შეეძინა, შეესწავლა, წაე-
კითხა, თავისი ჭკუა-გონება განევითარებინა, ცოდ-
ნით გაემდიდრებინა, ამისთანა კაცი ამბობს არსად
არ წავეჩხირები, თუ საგანი კარგათ არ გავითვალის-
წინე, არ შევითვისეო. სკოლებში სამშობლო ენის
მნიშვნელობაზე უნდა ყოფილიყო იმ დღეს ბაასი. განა ილიას საკმარისად არ ექნებოდა შეთვისებული
ეს საგანი? განა იგი საკმაოდ არ იქნებოდა მომზა-
დებული? მაგრამ მაინც კიდევ უნდა მოვემზადოვო,
ამბობს.

ახლანდელი ჩვენი „მოღვაწეთა“ უმეტესი ნა-
წილი სულ სხვა აზრისა და შეხედულობისა არის.
რაც გინდ რთული საგანი იყოს, რა გინდ დიდი სა-
ქმე იყოს, მთელი ქვეყნის ბედ-იღბალის შეცვლა-
ზედაც რომ ჩამოვარდეს სიტყვა, ჩვენი „იხლანდელი
მოღვაწე“ ერთ გოჯაც უკან არ დაიხევს, არ და-
ფიქრდება, ცე მხეთა ვე კარება, რუსები რომ იტ-
ყვიან, დაიწყებს და სულ მტვერს აადენს. ოცი
ფილოსოფოსიც რომ წინ ედგას, ყველას უვიცს
და სულელს უწიდებს.

ერთი სიტყვით ახლა მხოლოდ უსაზღვრო გამ-
ბედაობა და მეტიჩრობაა საჭირო, სხვა სულ მეტი
ბარგია.

ილია-კი ამბობდა: ჩვეულებად მაქვს მიღებული
მოუმზადებლად არსად წავეჩიროვო.

ნეტა იმ ერს, რომლის მოღვაწეთ ეს აქვს ერთ-
ერთ მცნებად აღიარებული.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას

მისი სახე, მაღლით სავსე,
მუდამ თვალწინ მეხატება.

ღვაწლი მისი, დიდებული
მის სახსოვარ ძეგლათ რჩება.

ნიჭი, გრძნობა მეტზე-მეტი.
კუჯა, ცოდნა უებარი,
ერთმანერთში ჩაწმანული,
ჰქონდა მეტათ საქებარი.

ამნაირად შემკობილი
გვინათებდა, ვითა მთვარე,
სასოებით შეყურებდა
მას სამშობლო, არე-მარე.

ხალხს დარაჯათ იგი უდგა,
მტერს ებრძოდა თავდადებით.
მაგრამ ზოგთა ის ვერ იცვნეს
და დაპარგეს უმეცრებით.

მის სიკვდილს არ ვინალვლიდით,
არ დავლერიდით მაზედ ცრემლსა,
რომ მის მოკვლით შელავათი
მისცემოდა დასჯილ ერსა.

პირიქით-კი, მის სიკვდილმა
ხალხის წყლული გაასკეცა!
პოეტის მკვლელთ—ქვეყნის მტრებსა
სწყველის მიწა, რისხავს ზეცა!

კორტოხა



ილია ჭავჭავაძის ფერილი დ. მესესისადმი

ქუთაისში 1885 წ. 9 თებერვალს

„დროების დაკეტვის შემდეგ დავ. მესხს დააგალეს რომ
ქუთაისში ანტელიგენციას მოლაპარაკებოდა რათა ცოტათ
მაინც მიშველებოდნენ ივ. მაჩაბელს, რომელსაც „დროების“
დაკეტვამ მთავარ მართებლის დონდურვ კორსაკოვის მიერ
(1885 წ. 5 სექტემბერს) დიდ ძალი ვალი დაადგა; მაგრამ
ქუთაისში უარი სთქვეს მოშველებაზე, რაიც დ. მესხმა ილიას
აუწყა, ამის გამო ილია სწერს ამ გულის წერილს.

ბატონო დავით! თქვენმა წერილმა მეტად უსია-
მოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამზღვდელები

ვართო გაზეთის ვალისაო, რომ უთკავშეწევრული
ფერი საბუთია. მაშ აღმართის მხვნელმწერლამზე კუ-
კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუ თუ ყოვე-
ლი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში
მიგდებული? ნუ თუ არავის ქვეყნისათვის მოღვა-
წეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლე-
ტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზედ და-
მაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შვე-
ლაზედ უარს ამბობენ. ვალი ქართველიშვილმა გადი-
ხადოსო, — ნუ თუ ზნეობითად ეს სამართლიანი საქ-
მე იქნება? ქართველიშვილი აქ რა შუაშია? თქვენ
ხომ ეს ამბავი კარგიდ მოგეხსენებათ. ყვავმა თავი-
სი ბახალა ბუს მიუვდოვო, შენ თავი დიდი გაქვს
და შენ იტირე. სწორედ ასეთი სამართლი იქნე-
ბა ქართველიშვილს მოვახვიოთ ეს ვალი კისერ-
ზედ იმ საბუთით, რომ ფული ბევრი გაქვს და შენ
ივალალეო. სად არიან ის თავგადადებულნიო,
რომელნიც სერგეის ფულს აძლევდნენო? აქ არიან,
მაგრამ განა საჩუქრად აძლევდნენ განსვენებულს
თქვენს ძმასა ფულს, ყიდულობდნენ იმისგან გა-
ზეთს. ეხლა სასყიდელი რა არის? გაზეთი გაუქმდა
და აიკრძალა. ერთის სიტყვით, „არ მინდას“ ისე-
თი ვეშაპის პირი აქვს, რომ ათასს მიზეზს გამოკ-
კრავს კბილს. ესა თუ ისე, სამწუხაროა ის ამბავი,
რასაც თქვენ იწერებით. მაგგვარი სჯა და ლაპა-
რაკი, რასაკვირველია, აქაც ხელს იგვიცრის, მაგ-
რამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ,
რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული. თუ ეს მოხ-
და, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება
უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს. არზა
მივეცი „ივერიის“ გაზეთად გარდაცვლაზედ. იმედს
იძლევიან და არ ვიცი რით დაბოლოვდება.

გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენ შორის
დარჩეს.

თქვენი ილია ჭავჭავაძე



ცაფები ილია ჭავჭავაძე

(დიდებული ილიას ხსოვნას)

მიმოიხედეთ სამშობლო!
ძაბებში შემოსილია!
ცა დედა მიწას დასტირის,
ორივე დაღვრემილია;
ყველა შეზარა სიკვდილმა
დიდი, პატარა, ჩვილია!..
გაუგემურდა ცხოვრება!
გამწარდა ძუძუ ტკბილია,

ვინდა გაგვიწევს მოძღვრებას,
როს აღარა გვყავს ილია!?

**

იუდა შენზე მაღლა სდგას—
მან ცოდო მოინანია,
შენ კი ქვემძრომო ბნელეთის
თავიც არ მოგიფხანია!

**

მოჰკალი, მაგრამ ვინ მოჰკალ,
შე სასირცხვილოდ შობილო?!
რა პასუხს აძლევ ქვეყანას,
ქვეყნითვე მარად გმობილო?!

**

წაგმწარდეს დედის ალერსი,
მოაკლდი ყველას ნდობას,
ზიზლით გიმზერდეს სუყველა,
გითვლილნენ კრულვა-გმობასა:
კაენისავით დაძრწოდე.
არვინ გიწევდეს ძმობასა,
შეგძულდეს თავი ბოროტი,
ნანობდე შენსა შობასა!

გარდენ ლვანკითელა.



მოგონია ილიას ცხოვრებილან

თავად-აზნაურთა ერთ-ერთ ჭრებაზე კერძო საუ-
ბრის დროს ილია ჭავჭავაძე მიუბრუნდა ერთ შემამუ-
ჯე აზადიშვილს, ომეულსაც აგრარულ ნიადაგზე ჩვე-
ნია პარტიები მოკეთებს უქადნენ და უხსრა:

— უმაწვილო, როგორც საქმეს გატეობ, შენ დიდი
გაფრთხილება გმართებს, ერთდე არ მოგეჭანო...

უმაწვილმა თავადიშვილმა მწარედ გაიდიმა და
უქადნენა:

— კნაზთოდა, მე როგორც საქმეს გატეობ, არამც
თუ შე-მარტო შემამუჯეს და თავადიშვილს, თქვენც
ჩვენს დიდებასაც კი გმართებთ გაფრთხილება, ისე ამო
თქვენც ერთდეთ არ მოგეჭანო.

ამაზე ილიამ მიუგო.

— ებეც შეიძლებათ!

მაგრამ ეტებოდა, უფრო ზრდილობის გულის-
თვის სტეფა ეს სიტევები, გულში კი დაწმუნებული
იყო, რომ იმას — მკონანს და საზოგადო მოგვაწეს — სა-
ქართველოს მთამაგეს, საქართველოს შვილი ხელს არ
შეახებდა...

ასე ჭიუიქობდა და... მოსტეუედა...

სფომონ. ე—ნი



ილია ჭავჭავაძის მასპარტიზაციის
(ნ. ხიზანაშვილის სურათზე 1899 წ.)

ამ შენს სახეს როცა ვუცქერ,
მაგონდება ყასაბ ლალო,
რით ვერ გასძებ ლორის ჭამით
ლორ მუცელავ, ყურუმსალო!..

ილია.



ლევ ტოლსტოის აზრმანი.

ქალებზე

◆ ნამდვილი და ჭეშმარიტი ქალი, ჩემის აზ-
რით, ის არის,—ვინც შეიგნო რა თავისი უდიდესი
დანიშნულება, თვით ბუნებისაგან დაკანონებული,
რომელიც შობავს, კვებავს და ზრდის უფრო მეტს
და ბევრს შვილებს, რომელთაც შეეძლება თავგან-
წირული მუშაობა ხალხისა და ქვეყნის კეთილ-
დღეობისათვის.

◆ ყოველი ქალი, რაკი შეასრულებს თავის
ბუნებრივ დანიშნულებას — შობავს, გამოკვებავს და
აღზრდის, მოასწრობს კაცის საქმეებსაც მოკიდოს
ხელი და ამ შემთხვევაში ქალის შრომა დიახაც
დიდმინშვერელოვანია, მაგრამ როდესაც ხედავ ახალ-
გაზდა ქალს, რომელსაც თავისი ბუნებრივი ვალი
არ შეუსრულებია და იმავე დროს კაცების საქმეებში
ჩამოულა-მეტად საწყენია. ასეთი ქალის დანახვა მით
უფრო საწყენია, რომ იგი ნება უნებლიერ გაგო-
ნებს იმ ძირითასს და ნოყიერ ნიადაგს რომელიც
კვებით და კენჭებით მოკირწლულია სეირნობისა-
თვის, იმის მაგიერ რომ ამ ნიადაგს პური აღმოე-
ცენებინა და ქალსაც შეეძლო აღმოეცენა ის რაც
ყველაფერზე უძვირფასესია და რასაც ვერაფერი
შეეძლება ქვეყანაზე — ადამიანი. და მხოლოდ ქალს
და მარტო მას შეეძლიან კაცის — ადამიანის შობა.

◆ ყოველი ახალგაზდა ქალი ზნეობრივ მუდამ
მაღლაა კაცზე, რადგან უფრო სპეციალი. ქალ-
წული მუდამ უფრო მაღლა სდგას თავის საქმროზე,
იგი ქალწულობისა და ქალობის დროსაც უფრო
ზნეობრივია კაცზე.

◆ აცის დანიშნულება მრავალ მხრივი და
უფრო ფართეა, ხოლო ქალისა უფრო ცალმხრივი
და ვიწრო და სწორედ ეგ არის მიზეზი, რომ მუ-
დამ იყო და იქნება კიდეც, რომ კაცს თავის მრა-
ვალ მოვალეობათა შორის ერთისა თუ ათისათვის
უმტყუფნია და ულალატნია მაინც არც ცუდი და
არც მავნეთ იქნება ცნობილი, თუ-კი მრავალ მო-

ვალეობათა შორის შედარებით უფრო მეტს შეასრულებს. ხოლო ქალი თვის მცირე რიცხვან მოვალეობათა შორის ერთს თუ უმტკუნებს მაშინათვე ზეობრივ უფრო დაბლა ეცემა კაცზე, რომელსაც ასში ათი მოვალეობისათვის უღალატნია. ეგ შუდამ ასე ყოფილა და ყოველთვის ასე იქნება, რადგან ასეთია ქალისა და კაცის საქმეთა შინაარსი.

ცხოვრებაზე

◆ ადამიანები ცხოვრებაში საქმით-კი არ ხელმძღვანელობენ არამედ სიტყვით.

◆ ჩვენი კეთილი თვისებანი უფრო გვავნებენ ცხოვრებაში ვიდრე ცუდები.

◆ ყოველივე სიმშენიერე, სილამაზე და სხვადა-სხვაობა ცხოვრებისა ჩრდილსა და სინათლესაგან შესდგება.

◆ არ არის ქვეყნად იმისთვის არამზადა რომელსაც თვის თავზე უფრო საძაგელი ვინმე არ ეგულებოდეს და ამიტომა რომ ბევრს საძაგელს თვი მოაქვს და კმაყოფილიც არის.

◆ კაცი, რომელიც მხოლოდ ფულებს შოულობს და ინაგრებს, სიყვარულს ვერ შესძლებს.

◆ ის ხალხი რომელთაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიანთ, კაცები მაინც უნდა აკეთონ, ხოლო დანარჩენები ამ გაკეთებულ კაცების განვითარებას და ბედნიერებას უნდა ქადაგებდნენ.

◆ ვისაც ცხოვრება არ ესმის და სიცოცხლე არ გაეგება, სიკვდილისა როდი ეშინიანთ.

◆ ნუ თუ ხალხი, როგორც ბაქშვი, შეიძლება ბედნიერი იყოს მხოლოდ ერთის სიტყვის გაგონებით—თანასწორობაო?

◆ ადამიანს არაფერი ადამიანური არ ავნებს.

◆ შეიძლება დაიხსნათ ისეთი ადამიანი, რომელსაც დალუპვა არ სურს.

◆ როცა ორი კაცი ჩეუბობს უეჭველად ორი ვე დამნაშავეა.

◆ ცხოვრება შედეგია პირუტყვული მისწრაფებისა, რომელსაც ზღუდავს გონებრივი კანონები.

◆ ყველანი შეგნებულად თუ შეუგნებლად მიისწრაფვიან სიკეთისკენ და გაურბიან ბოროტს.

◆ კაცის ბედნიერება ცხოვრებაშია, ხოლო ცხოვრება მუშაობაში.

◆ ადამიანი უსარწმუნოდ, ესე იგი, არაფრით არ დამკიდებული ქვეყნიერობასთან, ისეთივე შეუძლებელია როგორც კაცი უგულოდ.

◆ ყოველი ადამიანის სულის სიღრმეში მოიპოვება ის კეთილშობილური ნაპერწკალი, რომელსაც შეუძლიან კაცი გმირად აქციოს. მაგრამ

ეგ ნაპერწკალი მაღე იღლება დიდების სამართლებულების ნათებით, მოვა დრო—წუთი იგი შევაგდება განადებით და ცეცხლად, რომელიც შევრს დიდებულ საქმეს გააშუქებს.

◆ ადამიანი რაც ბევრს იძლევა სხვებისათვის და ნაკლებს თხოულობს თავისიათვის მით უფრო უკეთესია. ხოლო რაც უფრო ნაკლებს იძლევს სხვებს და მეტს ღებულობს თავისითვის მით უფრო უარესია.

ლევ ტოლსტოი და... ვენეციანი

კაცი ჭამია „ნოვოე ვრემის“ ქვემდრომი და ქამელეონი ცნობილი მის. მენშიკოვი თავის ერთ ერთს წერილში ცილს სწამებს ლევ ტოლსტოის რომ მის სოფელში „იასნაია პოლიანაში“ გლეხ კაცობა დაბექავებული, გაუნათლებელი და ყოველის მხრით ჩამორჩენილი არისო? (ისეთისავე ცილსა სწამებდნენ ჩვენებური ესდეკები ილია ჭავჭავაძეს საგურამოელ გლეხების შესახებ.)

ამ ცილის წამებაში ხმა ამოიღო ლევ ტოლსტოის მეუღლემ სოფიო ტოლსტოისამ, რომელიც სხვათა შორის აი რასა სწერს:

„ცილის წამებასა და განზრას ტყუილების ჩანახვას მენშიკოვს ის ერჩივნა პატივით მოპყრობოდა იმ სახელს, რომლის წყალობითაც დღესაც ფულში კოჭიობს, რადგან თავის უმზგავსო სიცრუეს დიდ ფულად ყიდის ხოლმე გაზეთის ფურცლებზე.“

„მენშიკოვს ისიც კი არ ესმის, რომ რაც უნდა ეცადოს იგი თავის მოშხამულ მარწუხებით შესძლებს მხოლოდ ჩაქროს ის ქონის სანთელი რომელიც მის წინაშე სდგას და არა საქვეყნოდ გაბრწყინებული მზე!..“



ლევ ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე

იქნება მკითხველმა გაიკვირვოს ზემო აღნიშნული სათაური.

გასაკვირველი არა არის რა.

ორთავე ღიღებულ ადამიანის ცხოვრებაში და ბედ-ილბალში ბევრი რამ არის საერთო.

ლევ ტოლსტოი ათის წლით არც კი არის უფროსი იღიაზე, ხოლო სამწერლო მოღვაწეობით მარტო ხუთის წლით არის იღია ლევზე უმცროსი.

ლევ ტოლსტოის, როგორც იღიას, ცხოვრებაში ბევრი სიმწარე უწვევება.



ილია ჭავჭავაძე 1868 წ.

მყენ მუსიკის ფილი —
მრა უარავთ უ უშუალო 2,
კორ კავა ლავ —
ერთი ცა გრი ერთ.
კუკურავას მრც —
კუკურავას მაისი;
კუკურავას მაისი;
კუკურავას მაისი?

მ. საფაროვანი აბაშიძისა
ფაიხოშის როლში („სამშობლა“)

ორივე დიდებული ნიჭის, მაღალის გონების და უზენაესის სისპეტაკე-სიწმინდის პატრონი იყვნენ.

სიმართლე, სათნოება, კაცომუყავარეობა და ძალა ზნეობრივი, სულიერი სიმტკიცე, შეურყევ-ლობა ორთავე თვისებაა.

ლევ ტოლსტოი თუ „საუკეთესო მწერალია ველი რუსი“, ილიაც საუკეთესო შვილი და მგოსანია მრავალ ტანჯულის, ლვის მშობელს ხდომილის ქვეყნის, ივერიისა.

ლევ ტოლსტოის დიდებას წინააღმდეგნენ რუსეთის ბნელი ძალები, შავრაზმელები და უწმინდესი სინოდი...

ილია ჭავჭავაძეს წინააღმდეგა ჩვენებური სიღუბეირე, შებლ გაკირულ გაქვავებული დემა-გოგია...

ლევ ტოლსტოი „უწმინდესმა სინოდმა“ ეკ-ლესიიდან განდევნა, როგორც, უღმერთო და ატე-ისტო...

ილია ჭავჭავაძე კი ჩვენში დაგმეს და საჯაროდ დასწვეს მისი დიდებული ნაწერები, როგორც ხალ-ხის მტერისა...

ლევ ტოლსტოის იუბილეს დღესასწაულს გა-შმაგებით ებრძვიან ბნელი ძალები და შავრაზმე-ლები...

ილია ჭავჭავაძის დიდებულ ღვაწლს და ამაგს ებრძოდნენ „ერთად ერთი“ პარტიის დემაგოგები და წითელ რაზმელებმა მოჰკლეს კიდეც...

ლევ ტოლსტოის მთელი რუსეთის ინტელი-გენცია ნობათს უძლენის დღესასწაულის გამო...

ილია ჭავჭავაძესაც მიართვეს საუბილეო ნო-ბათად შებლში ცხელი ტყვია და გულ-მკერდში ცივი მახვილი...

ვინ არის უფრო ბედნიერი?

დიდი რუსეთის დიდებული ბრწყინვალე გვ-

ნისი თავისი თავისი

ცი წლის იუბილეს
დროს, თუ პატარა
საქართველოს დიდი
ილია — ერთი მაღლი
და წმინდა სისხლი
შორ-გზაზე დანთხე-
ული?!

არც ერთი, არც
მეორე, მონადირე



ბავშვის ღრამა

(გერმანულიდან)

შეღირე იქნებოდა ასე შვიდის წლისა, როცა შისი
შშობლები ერთმანეთს გაეეარნენ. დედ-მამის თანხმობით
ჰატარა შეღირე დედასთან უნდა დარჩენილიყო, მხოლოდ
საზაფხულოდ, სწავლის შესვენების შემდეგ-კი მამასთან
უნდა კოფილიყო.

შეღირე დაარწმუნეს, რომ მამა, სამსახურის გამო,
სხვა ქალაქში წავიდა.

ჰატარა შეღირე სწავლა და ნადგლობდა მამაზე
და თითქმის მედამ დღე კითხულობდა:


— როდის მოვა მამილოდეოდ?

ერთხელ დედამ გამოუცხადა მამილოდეოდ დაბრუნ-
დებათ.

შეღირე განცემულდა ამ გეარ შასუნით და დაიწუ-
ჭითითინი: ალბად მამილოდ მოკვდათ... დედა გაწითლდა.

— არა, შვილო არ მომკვდარა, ანუგეშებდა დედა.

— მაშ თუ არ მომკვდარა, უკველა მოვა! შენ
ალბად იხემრე, დედილოდ? ხომ მალე ჩამოვა, არა? მი-
შასუნებ, დედა! ეხევწებოდა ჰატარა შეღირე.



ურთ

ილიას კაბინეთი ტფილისში.

— არა, არ უხუმრობ, მეღიარა, მართალის გეებნები,

— მაში, რატომ ჩვენ არ მავდავარ მამილასთან, რად ვართ აქა? უმაშილდ მომწენდა. მისწერე დედოფლი, რომ თუ ის არ ჩამოგა ჩვენ წაგადთ მამისთან...

— მე არ შემიძლიან, შვილი ამის მიწერა.

— რატომ? შენ ხომ შეგიძლიან მამილის უველავერი მისწერთ.

— ეხლა, ადარ შემიძლიან.

პატარა მეღიარას ვერ აკმაყოფილებდა ესეთი პასუხები.

— რატომ არ შეგიძლიან?

— ჩემო მტრებლ, შენ ვერ გაიგებ. ჯერ პატარა ხარ.

— გავიგებ დედოფლი, თუ შენ არ შეგიძლიან ბებომ მისწერთს! არ ემცებოდა ბავშვი.

— ვერც ბებო მისწერს.

— მაში მე დავწერ, შემიძლიან ისე გარკვევით დაგწერო, რომ წაიკითხვებოდეს, მითხარ დედოფლი, სადაა მამილი?

— გმარა მეღიარა, შენს მამილასთან მერე გაგზავნი! ანუგეშებდა დედა.

— როდისდა დედოფლი?

— საზაფხულოდ, სწავლის შემდეგ.

— როდის იქნება ეგ ზაფხული?

— მალე...

— შენ ხშირად იძახი შალე-მალეთ და დრო-კი ბევრი გადის. მამილოც უჩვენდ მოსწენდება. ვინ იცის მამილის რა ხაირად უნდა ესლა ჩვენი ხახვა!...

— თუ ეგრე მომაბეზერბ თავს სულაც არ გაგზავნი, დაემუქრა მთმინებილის გამოსული დედა. თუ ტეპვანად იქნები და არ იტირებ მალე გაგზავნი, თუ არა და არა.

— ადარ ვიტირებ დედოფლი, ადარ და თან მარგალიტ ცრემლების იშენდა ბავშვი.

პატარა მეღიარა ძალიან ცდილობდა თავი შეემარჯებინა, მაგრამ ამათდ; დღე და ღამ მალულად სტირორდა ხოლმე მამილი. დედას მეტი გზა ადარ დარჩენდა დანიშნულ დროზე უფრო აღრე უნდა გაეგზავნა შეილი მამასთან.

მამასთან შეხედრამ ბავშვი ძალიან გაახარა, მაგრამ ასლა დედილო მოსწენდა.

— მამილი, მისწერე დედას, რომ აქ ჩამოვადეს, ეხვეწებოდა მამას ბავშვი. და დილიდან საღამომდე მოსვენებას არ აძლევდა მამას

ასლა უცხო სახლში უფრო ვერ ისევნებდა მეღიარა, მამასაც მეტი გზა არ ქნდა: დანიშნულ დროზე უფრო აღრე უნდა დაებრუნებინა პატარა მეღიარა დედასთან.

မამაမ სადგურამდე გააცილა မელიტა და მისი აღმზრდები ქალაც. ბავშვის ეგონა, მამილოც თან წაჭევებდა, მაგრამ მოსტეულდა და დაიწეო ქვითინი. გამომშვიდობის დროს ბავშვი მამილოცს ხელს არ უშვებდა და ძალზე გაჭერდოდა. . რის წვალებით მამამ ხელი გამოაშვებინა და საჩქაროდ მიიმანა.

დედა მხიარულად შესვდა თავის შატარა ქალს, მოუმზადა ტიკინი, ტიკინის ეტლი, ერთი გროვა ქადები, მაგრამ შატარა მელიტა არაფერსაც უყრადლებას აღარ აქციებდა.

— არ მინდა არც ტიკინა, არც ქადები, გაიძახდა შატარა მელიტა. უმამილოდ არ შემიძლიან გიმხიარულო!

ბოლოს ნელ-ნელა დამშვიდლა, მაგრამ მაინც მედამდე კითხულობდა: კიდევ როდის გამგზავნი მამილოცთან!

— ზაფხულში, უებნებოდა დედა.

— ზაფხული როდის იქნება?

— სამი თვეის შემდეგი.

— რამდენია ეგ საში თვეე?

— როცა შენ თასმოცდა თორმეტჯერ წაიკითხავ დაიღის ლოცვას, მაშინ შესრულდება საში თვეო.

ამის შემდეგ მელიტა დღეში არჯერ კითხულობდა ლოცვას, თა არის მალე გაევლო საში თვეს.

ერთხელ მოულოდნელად დედის თახასში შეიჭრა მელიტა და უცად შეჩერდა, დედას ვიდაც უცხო გაცი კოცი და. ალექსში გართულო ვერ შენიშვნეს შატარა მელიტა. ბავშვის კი ამ სურათის ნახვით რიცილი წასკდა.

დედამ არშიეისაგან გაინთავისუფლა თავი და გაჭარებით ჰქითხა შვილის:

— მელიტა, აქ რა გინდა?

— ვინ არის ეს უცხო კაცი? ჰქითხა გაოცებულია შვილმა.

— ეს უცხო არ არის, ალექსიანად მიუგო დედამ, მიდი, ხელი ჩამოართვი, ეს ძალა. ამას იქით ჩვენთან აცხოვების.

— არად! რისთვის? ანჩხად იკითხა ბავშვმა.

— იმიტომ რომ მე... მაგისი ცოლი უნდა გავხდე.. შვილო...

— შენ ხელ მამილოცს ცოლი ხარ.

— ეხლა აღარ ვარ, ჩემთ მტრედო.

— აბა, როგორ შეიძლება არ იყო, როცა შეპი ბათხოვილი ხარ.

— მე... გავეუარე მამაშენს. და ეხლა ამაზე ვთხოვდები... და შენც ახალი მამილო გეერლება.

— არა! შეჭკვილა ბავშვმა, მე არ მინდა სხვა მამილო! გამიშვია! არა, არ მინდა ეგ უცხო კაცი!...

— რათა მელიტა?... ამას შენც უკვანხარ!...

— არ მინდა, ნე ვუკვანხარ, მე უსტყვებული გამიშვი... მამილოცთან მინდა წავიდე მარტორიერება — რატომ შეიღო?

— იმიტომ, რომ აქ უცხო კაცმა უნდა იცხოვოროს.

— მელიტა, მამაშენთანაც უცხო ქალი ცხოვობდა...

— არა! არ!.. ტირილით გაიძახდა ბავშვი, მამილოცს მზარეული ქალი ეავს იმას-კი არ კოცინის!...

— უნ არ გინახავს შეიღო!

— მაშ მამილოცთან ცხოვობდა უცხო ქალი და ის ქალი დანჩხება მამილოცთან? შეეკითხა მწარედ ბავშვი.

— და უკვეულა, შეირთავს კიდეც? არწმუნებს დედა.

— მაშ მე ბებოსთან წავალ!

ბავშვი გაშივით გავარდება გარედ, აღმზდები ქალი გამოეკიდება, მაგრამ ბავშვი შურდულივით ბებოს სახლისკენ მირბის.

სულიერად დატანჯული შატარა მელიტა ბებოს სახლის წინ გაჩერდება, შეშინებული მიიხედ-მოიხედავს და შეგარდება თახასში და დაღლილ დაქანცული მელიტა ბებოს ჩაუვარდება კალთებში, ჩაეხურება გულში, მწარედ ტირის და თანაც ნაწვეტ-ნაწვეტ გაიძახის.

— დედას უცხო კაცი კოცინის და იქვე დანჩხება, მამილოცთანაც უცხო ქალია და ისიც იქ დანჩხება, მეკი არც დედასთან და არც მამილოცთან!.. სუვარეულო ბებოვან... არ მინდა... შენი ჭირიშე... ნე ნე გამისტურება!... შენთან ვიქნები, არ გამაგდო... შენთან დაწები... შენთან!...

— დარჩი, დარჩი, ჩემთ კარგო, ვიდრე ეგ შენი სურვილი იქნება და თანაც ალექსით ამშვიდებს შატარა მელიტას, კოცინის და ანუგებებს.

— მეტრება, ძრეც შეტრიება, ბებოვან!

— არც დედა მეავს, არც მამა, მარტო შენ შეეგხარ ჩემთ ბებო, მხოლოდ შენ!...

3. მ—ძ



* *

როს მკერდს გეყრდნობი ქანც მილეული და შენ ხუკუკ თმებს ვეთამაშები, — ალვილი ტრფობით — ნეტარი გრძნობით, ცის საიღუმლოდ მე მეტვენები!

დუმილი შენი სულსა აფიქრებს, ტკბილად აულერებს ნორჩ გულის სიმებს.

როს ნაზად ჰმლერი, ხმას აწერიალებ სმენად ქცეული შენ გიგდებ ყურსა; — გადაფურჩქვნილსა ვარდსა გადარებ გაზაფხულის პირს ბაღში დარგულსა!

მალვით გიცქერი ზღვის ფერ თვალებში,
ნელად აღელვებ გრძნობათა ტალღებს;
ირ მსურს ხმა ტკბილი გაგაწყვეტინო,
ვიცი დავაფრქვევ მდუღარე ცრემლებს!
ნუ მომიღრუბლავ მთვარიან ღამეს,
შენს გვერდითა ჰერმნობს გული სიამეს!

ა. შ—ლი.



გ უ ლ ი

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასოფუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავათმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ აღამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მიინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

ათასი სნეულებით იყო იყათ; არავითარმა წამალმა არ იმოქმედა—იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გასჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!
ერთმანეთს შესცეკროდნენ.
ბატონებო, გული, გული სადღა?
გულის მაგიერ ფერფლი და დარჩენილიყო.

— დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? საღაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუქაშ გასცა პასუხი:
მე დავჭრნ!

მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.
სიტყვები არავის გაუგონია.

6. ლორთქიფანიდე



კ ე დ ი

— როდემდის, ჩემო ქედო შრომისა, უნდა გედგას ულელი?..

გაჩნდა აღამიანი, იგივე მონისა შვილი, ხოლო ყოველ ასებაზედ გახდა აღამიანი გამეფებული.

ტყეში მოსჭრა ადამიანმა ხე უფრეზულებული იგი გათალა თავის ნებით და გამოიყრინულებული დაადგა აღამიანმა სხვის ქედს დაუკითხავად ტვირთი

ულელი, თავის შრომისა შესამცირებლად...

დღეს ცხოვლისა ქედი დატვირთულია უღლითა; და ზედ, შვილი მონისა, იგივე მოძმე სულიერთა, აღამიანი ზედ აზის თავის სასიამოვნოთ.

აღამიანი—ძმა ძმისა ულმობელია!..

ზამთარივით! რომელიც დაადებს ტვირთათ თოვლსა დედამიწის მთასა და ბარსა...

ხოლო მზე გაზაფხულისა, მაცოცხლებელი ცხოველთა, რა გაბრწყინდება ალაგმავს ხოლმე ტვირთ-თოვლსა.

მთა და ბარიც, ნიშნათ იმისა, რომ გახდა თავისუფალი, ჰყვავის ათას ფერათა.

შენთვის როდის ლა მოვა გაზაფხული და როდის მოვა მზე გაბრწყინვებული?

როს მოიშორებ, ჩემო შრომისა ქედო, ამ უდელს და გაგეკურნება ქედი ტვირთისაგან დაკუშებული?..


ს. გლახაშვილი.



ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო მ ი

28 აგვისტოს მთელი სამყარო დღესასწაულობს ჩვენი დროის ერთი უდიდესის „აზრთა მეუფეს“ ლევ ნიკოლოზის ქედოსტოს 80 წ. დაბადების დღეს და 55 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეს.

ლევ ტოლსტოი ცოტად თუ ბევრად გაღათარგმნილია ყველა ენებზე, რომელშიც კი ანბანი არსებობს. ლევ ტოლსტოი ქართულადც ნათარგმნი—მისი ღიღი რომანი „აღდგომა“, დრამა „მეუფება წვედიადისა“ და სხვა წვრილი მოთხრობები და წერილები.



30 რი და ლრუბელი

(არაქი)

ერთი ვირი მიდიოდა მარილით დატვირთული. გზაზე წყალი დაპხვდა, პატრონშა ფონ-გაუშინჯავად ვრის წყალში შეაგდო.

მარილი დასველდა, ჩამოდნა და ვირს ტვირთი შეუმსუბუქდა ეამა ვირს ეს ამბავი და კარგად დაასოვდა.


მეორედაც ამავე გზას მიდიოდა ვირი ლრუბელაკიდებული. შორიო წყალი რომ დაინახა დამდნარი მარილის ამბავი მოაგონდა და გიხარებული წყლისაკენ დაეშვა.

მაგრამ მიუხვდა პატრონი გულის-პასუხსა, მიაძახა: „თოქში!... სად ჯანაბას მიეთრევი შე ოხრო?“! — წინ გაუსწრო, მოაბრუნა და ხიდისკენ გაიგდო.

გადარჩა ვირი, გადარჩა ლრუბელი.

ადამიანო! ისეთს გზას ნუ დაადგები, რომ „თოქში“ მოგაძიხონ.

რიშ—ბაბა



მჩსპრომი

დიდი ხანია ქართველნი
ძილმა მთქნარებამ წილო
და მათი სარჩო ცხოვრება
სხვა და სხვა ერმა გაიყო. ნოლელი.



არაქი დვილოზე

ერთს ქვეყანაში მთავარ ეგზირი დამთვრალიყო და ქალაქ გარედ მინდორში დასძინებოდა. დანვეოდნენ ყვავ-ყორნები და ვეზირისათვის ორივე თვალები ამოექიჩინათ. აუწყეს რა ეს ამბავი იმ ქვეყნის ხელმწიფეს, მყისვე შეკრიბა ნაზირ-ვეზირნი და განაცხადა: ჩვენი მთავარ ეგზირი სადღაც ლვინით დამთვრალა, მინდორში დასძინებია და ყვავ-ყორნებს მისთვის თვალები ამოექიჩინათ ამიტომ გიბრძანებ თქეენ: დაუყონებლივ შეუდექით ვენახებ ს გადაჩეხას ჩემს სამეფოში და სადაც ქურებში ღვინო იპოვოთ სულ დაქციეთ. შეუდგნენ ხელმწიფის ბრძანების აღსრულებას. წვრილფეხა მოხელეებმა დაგზაგნეს ყოველგან მათზე უურა წვრილფეხა ხელქეცითები და სადაც-კი ვენახი და ვაზები დაინახეს გაჩეხეს და მუსრი გაავლეს. ჭურებ-ქვევრებიდანაც ლვინოები ამოაქციეს. სატაცო ქალაქში, სადაც მეფე ცხოვრობდა, ერთს ქვრივ დედა-

კაცს, რომელსაც ოცი წლის ვაჟი ჰყავდა, რომელიც უკავების გაგზავნილი კაცების ჩხრეკა და შეტყობინებული ვით ერთი თავს ჭური ღვინოც შერჩა.

სხვათა შორის, ხელმწიფის ბრძანებით ქალაქში ყოველ ღ. მე ლომებით თავის უფლად დასიოდენ. მოლამდებოდა თუ არა ხალხი ლომების შიშით ქუჩაში ველარ გამოდიოდა... ერთს სალამას ქვრივის შეილმა დალია ერთი ხელადა ღვინო და ზარბ-ჯშმა ქუჩაში გამოსვლა განიზრახა. დედამ ბევრი უშალა, მაგრამ შეილმა მაინც არ დაუჯერა და ქუჩაში გამოვდიდა. ის იყო გასცილდა თუ არა თავის სახლს., წინ შეეხება მეფის მრისხანე ლომი, რომელმაც მყისვე ყმაწვილს მიაშურა და შეუტია. ქვივის შეილი არ შეშინდა, სტაცა ლომს ყბეაში ხელი, გასწი გამოსწია და ლომს ორივე ყბემი-კი ამოუგდო და ასე გადარჩა უგნებლათ. მეორე დღეს მეფის სასახლეში ყბები ამოგდებული ლომი ნახეს. განრისხდა მეფე და გამოსცა ბრძანება, დაუყენებლივ ეპოვნთ რს კაცი, რომელმაც ასეთი თავხელობა ჩაიღინა. დიდის ძებნის შემდეგ მოხელეებმა გაიგეს, რომ მეფის ლომისთვის ყბები ქვრივის შვილს ამოეგდო. მიგვარეს მეფეს ქვრივის შვილი.

— შენ ამოუგდე ჩემ ლომს ყბები თუ არა? ჰყითხა მეფე ყმაწვილს.

— და ია მეფე, მიუგო ქვრივის შვილმა.

— მარტო შენ იყავი, თუ ამხანაგიც გყავდა ვინმეო? დაეკითხა მეფე.

— მე გაალდით და ერთი ამხანაგიცაო! უპასუხა ქვრივის შვილმა.


— ვინ იყო შენი ამხანაგი?

— ვინა და ერთი ხელადა ღვინოვთ! მიუგო ყმაწვილმა.

— მაშ თუ არ სტყუა ეხლავე დაალევინეთ ერთი ხელადა ღვინო, გამოუშვით ლომი და გამოვსცალოთ, რამდენად მართალიაო, ბრძანა მეფემ.

ქვრივის შვილი ბალში ჩაიყვანეს და ხელადა ღვინო დაალევინეს და ერთი დიდი ლომიც გამოუშვეს გალიიდან. ლომმა კაცი დაინახა თუ არა პირგადებული გაექანა მისეკნ ქვრივის შვილი გაბედულად ეცა ლომს და იმასაც პირველი ლომივით წავლო ყბებში ხელი და სწრაფად ოზივე ყბები ამოუგდო. ნახა-რა მეფე ეგეთი გამბედაობა და სიმამაცე ქვრივის შვილისა ძალიან გაუკვირდა. და შეკრიბა ნაზირ-ვეზირნი და დიდებულნი ჭუბრძანა: დაუყონებლივ გადადევით ხაზინიდან რამდენიმე მილიონი ფარა ვენახების გასაშენებლათ; როგორც ვხედავ, ღვინო დიახაც სასაჩევებლო ყოფილა კაცის-თვის, თუ ზომიერად ისმევაო. მე-კი შევცდი, მთელ სამეფოში მოვასპობინე ვენახები და ღვინოებით. და ბრძანება გასცა ხალხში: ამიერიდან დალიეთ ღვინო, ხოლო ნუ დათრებით ისე რომ მყვდრებს დაემსგავსოთ და ყვავ-ყორნებმა თვალები ამოგჩიჩნონა, ხოლო ზომიერი სმა ძალას და გამბედაობას შეგმატებთ მტრის საწინააღმდეგოთ.

რაჭელი შურდული



ს ც ა ხ ე ბ ი

შომრიგებელი შუამავლის ქამერაში

(1865—1866 წ. დასავლეთ საქართველოში)

I

(1) ცენა წარმოდგენს ბატონ-ყმობას შოსპობის დროს პირველად გამზებულ მომრიგებელ-შუამავლის ქამერას. შემოვლენ თ-დი ომაინ ქველიაშვილი, თავაღრილი, პირქუში; მას უკან ტართ მოჰყვება შეწუხებული გლეხი. ქველი-შვილს ხელთ უჭირავს გირგანქა სტეანინის სანთელი).

I

თავადი ომაინ ქველიაშვილი და მისი გლეხი

ომარნ ქველიაშვილი (ძველებურ ქაბით, ადე-ლევებულია. დადებს სტოლზე სანთელი). ია! გადაბრუნებულ დროის წყალობა!

მომრიგებელი შუამავალი. რა ამბავი, ომაინ, რას ჩივი??

ომარნ. ნახეთ მაგ, რაც მოგართვით და შეიტყობო ამ ვაჟბატონის (უზენებს გლეხის) ნასიკეთვარს, ნახეთ და სამართალი გადამიჭერით! ჯერ ნახეთ!

მომრიგებელი შუამავალი. (ნახავს სანთელს, აშლიდებს, ერთი გატეხილია). ჰო... ერთია გატეხილი! მერე რაო!

ომარნ როგორ თუ რაო?! ბატონი მსაჯულო თქვენ ბრძანებო მაგას? რაო და ის, რომ ეს ვაჟბატონი გუშინ ალიონზე გავაგზავნე ფეხით ქუთაისს ამ სანთლის საყიდლით და იმის მაგივრათ, რომ გუშინვე დაბრუნებულიყო და სანთელიც მთელად მოეტანა, მხოლოდ დღეს დილით იყალრა მობრძანება და ერთი ლერი სანთელიც სულ მთლიად დაუფშენია!! აბა, ასე წახდა დრო ამ ოხრის მოგონილ თავისუფლებისა თუ თავის აგდების წყალობით!! მაგ ლაშირაკი უწინ გაბედავდა ბატონისთვის ნაყიდ სანთლის გატეხას? ან გატეხდა და ზედ თავის ტვინ-საც არ დააკცევდა?! ან არ დაიგარავებდა თავს და სამაგიეროს არ იყიდდა და არ მომიტანდა?! მარა ახლა, რაკი გამოცხადდა თავისუფლება თუ თავის გდებაა, რაცდა - ვინ გაგდებს ბატონს ბატონათ, თავიდს თავადათ, ქველიაშვილს ქველიაშვილად, პატრონს პატრონად, მეფე სოლომონის მამიდაშვილის რძალის დეიდას შვილის შვილის შვილათ...

შუამავალი. (არ აცლის) მერე, ბატონი ომაინ, რა გნებავს ახლა?

ქველიაშვილი ჰმ! რა მნებავს? ნებაზე იღარაა ახლა საქმე, თვარა მე აქ ვერ მნახავდით! მე კაბას არ ვუჩილლებდი!.. (ჩაფიქრდება) ჰეი, ეში! დრონი მეფობდნ და არა მეფენიო .. ახლა კი გლე-

ხები სუფევენ და არა თავადები! რა გაეწყობა! როცა მილიცია ეჭირვებოდა იმ დალოცვილ ხელმწიფების, და ხეანთქრის ჯარს ჩოლოქებების ვაყენებდით ზურგზე, მაშინ ძალიან გვაფასებდა და ახლა კაბანიცი...

შუამავალი (გაწევეტინებს სიტყვას) საჩივარი ბრძანებო, ომაინ, საჩივარი რა გაქვთ!

ქველიაშვილი საჩივარი... მომისაჯეთ ზარარალი და საქმის საწარმოვებელი ერთი-ორათ, გარდა ამისა სასჯელი...

შუამავალი (გლეხს) შენ მითხარი, რამ შემოგატეხა ხელში ის ერთი ლერი სანთელი?

გლეხი (აშლითხებს, გულზე დაკრევებს) ბატონი, ჩემო მწყალობელო, აქეთობას იმ ჩემ ამოსაგდებს ქვას წამოვკარი ფეხი ოღასკურას პარად და დავეცი. შემიწყალა ღმერთმა და მარტო ერთი ლერი გატყდა, მარა ჩემმა ბატონმა კი, რომელსაც რცი წელიწლი ვემსახურებოდი...

ქველაშვილი (არ აცლის) მემსახურებოდი!.. რა გიკის აწიც მემსახურო?.. რუსი გაგრანის ჩეზე უფრო?!

გლეხი. (შუამავალს) ჰო, იმას მოგახსენებდით ჩემო ბატონო, ბატონმა არ შემიწყალა.. ახლა შემიბრალეთ, ბატონო მოსამართლევ, და თუ გადასახადათ დამადებთ ერთი ლერი სანთლის ფასს, ერთი თვის ვაღა მომეცით, რომ დავიმუშვევთ როგორმე თვარა ფარები ვინ მომცა ნაღდათ ხელში...

შუამავალი. (ომარნს) აი, ომაინ, რას ამბობს მოპასუხე! აპატივე, ასეთი საჩივარი არც შენ გეკადრება...

ქველიაშვილი. უი, დალოცვილო, კადრების დრო წავიდა ოქვენი წყალობით!.. აკი როცა აცხადებდით-კაბახების თავისუფლებას — თუ თავის გდებას — გვირჩევდით, ბატონო კაცებო, მებატონეებმა აწი მომჭირნებას უნდა დაადგეთო? აი, ესეც მომჭირნება! პატივება რას ჰქვია? რაც წამართვით, წამართვით და რაც ვერ წაგირთმევით ის ჩემგან პატივებით გინდათ წაილოთ! აჲ .. აღარ, აღარ!

შუამავალი. აპატივეთ, აპატივეთ...

ქველიაშვილი არა. დაწერეთ განჩინება.

შუამავალი. (წერს განხინებას და უცხადებს მოშეიგარ მოპასუხების) „რადგანაც საქმიდან არა ჩანს, რომ მოპასუხეს განხრას გაეტეხოს ის ერთი ლერი სანთელი, არამედ ეს მოსვლია მას სრულიათ შემთხვევით ქვაზე უცაბედათ ფეხის წამოკვრით, ამიტომაც საჩივარი ბატონ ომაინისა დავტოვე უყურადლებოთ და დავადგინე გადახდეს მას მოპასუხის გაცდენისათვის სამი შაური ვერცხლის ფულათ...“

ქველიაშვილი. (შექმთება) ა? ვერცხლისო
მაინცა და მაინც? გროშებათ არ მიიღებს, მაგრე
თავის გახეთქამ!.. განჩინების პირი მიბოძედ, გან-
ჩინების პირი... (აიტებს ისტერიულ სიცილს) ჰა აპ
აპ, აპ, ჰა... (კარებთან რთმ მიგა, წაიბურდეულებს)
თუ ღმერთმა ქნა და ისევ მოადგა ხეანთქრის ჯა-
რი ჩოლოქს!!! (გაფა. გლეხი ფეხ-აკრეფით ნედა გაჭ-
ვება).

II

კნეინა გულჩინა ქამარძისა და მისი ნაყმევი

(იგივე სცენა მომრიგებელ შუამავლის კამერაში. გულ-
ჩინა ახალგაზლა ქვრივი, შამოდის ქაქანით, მას შემოჰყება
გლეხი, ახალგაზლა, კარგი თვალტანადი.)

გულჩინა. ბატონ მომრიგებელ შუამავალს ვახ-
ლავარ! ღმერთმა გვიდლეგრძელოს შენი თავი! აბა
შენ იცი, შენი ჭირიმე, თუ ამ კაძახს არ ააგდები-
ნებთ ჩვენ თავს! დედა, იქან და ქალიაო და გა-
დაჯირგალება არ მოინდომა მას აქეთ, რაც ის ოხ-
რობა—ბატონ-ყმობის მოსპობა—გამოცხადდა!!.. მი-
შველეთ რამე, ამ კაძახს ნუ გადაჯირგალებიებთ
ჩემ თავს.

შუამავალი. რას ჩივით, ბრძანეთ ჯერ და ..

გულჩინა. ბატონი, ერთი პატარა, სულ პა-
ტარინა ჭირი მაქვს ამოსაწმენდი... ამ ღვთის პირი-
საგან შეჩვენებულს ერთი კვირაა ვემუდარები ამო-
მიწმინდე-თქვა, ამომისპეტაკე-თქვა, ამომირეცხე-
თქვა.. ვითომ კადეც ჩადის იმ ჩემ პატარა ჭურში,
კიდეც ვითომ ფაცურობს... ამ გრძელ ჭურის სარ-
ცხელს უხლაბუნებს და უხლაბუნებს, მარა ეჭმა-
კობს მგონია მანც ვერ ამომიწმინდა, ვერ ამომის-
პეტაკა, ვერ ამომირეცხა და ვერა... უბრძანე,
შენი ჭირიმე ერთი კარგათ ამომიწმინდოს, კარ-
გათ ამომისპეტაკოს და კარგათ...

შუამავალი. (აწევეტინებს სიტევს) ბიჭო, რა
ღმერთი გაგიშყრა ერთი პატარა ჭური ვერ ამოუ-
წმინდე ამისთანა ქალბატონს?! არა გრცხვნია მა-
გაზე აჩივლებ?

გლეხი. რა ვქნა შენი ჭირიმე? ქრისტე ღმერ-
თია მოწამე, რომ თავად ეს ქალბატონი მადგება
თავზე და მე, რაც ძალა და ლონე მაქვს, თავს არ
ვშეურავ ისე ვუხლაბუნებ და ვუხლაბუნებ ამ ჩემ სა-
რცხელს იმ ჩემი ცოდვით სავსე ჭურს, მარა...

გულჩინა. (სიტევს აწევეტინებს) არა, არა! მე,
ბატონი მომრიგებელ შუამავალო, რათ მინდა ამ
ვირი კაძახის დამუნათება, მაგან საქმე გააკეთოს
თვარა... (ა) გულჩინა თავადს მოჟკრავს, რთმ შეამა-
ჭალი ძღვის მიაგრებს თავს სიცილისაგან, გლეხიც იცი-
ნის ჩემსდ).

შუამავალი. (გლეხის) გასწი უძრუნტჩუჭავადა
იცოდე კარგად ემსახურე! და აშაკუშტუშელი წეს ტუ-
რი მეტი იღარ გიჩივლონ იცოდე. (გლეხი თავს
უკავს და მიდის შეამავალი მთებრუნდება შერე მო-
მხივანს) ბატონი, გულჩინა, როგორ გეკადრება მა-
გისთანა რამეზე ჩივილი? ნურც გვონიათ, რომ მე აქ
თქვენი რაღაც კურის ხლახუნის გასარჩევათ ვიყო
გამოგზავნილი ხელმწიფისაგან!! მე მარტო საქმი-
სათვის გარ აქ ..

გულჩინა. (გაქაპისებული) ჰო, ძალიან კარგი!
რა კი მასეა... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! დაგე-
ლობათ მოსამართლეობა, ძალიან სამართალი არ
გადაუკერით ქვრივს! ერთი შეგერისხათ მაინც...
(მიდის და მიბურდლებობს) ღმერთმა მოგეითხოს
ნაცვალი ზურაბ სახლო უხუცესო!... შენ რომ არ
გელალატებია მეფე სოლომონისათვის, ჩვენ ამ დღე-
ში არ... (გადის და ხმა გარგვევით ადარ ისმის).

თ. მაგმაძე

**პ რ ტ ვ ი ნ ც ი ს**

ცხინვალი აქაური ავ-კარგი. მოდი და ერთი ამ
ძველ დაბა ცხინვალშიაც შევიხედოთ და მისი ავ-კარგიც გა-
ვაცნოთ არა ცხინვალელებს. მართალია ცხინვალი ის აღარ
არის რაც ამ ოცი, ოცდა ათი წლის წინ იყო, მაგრამ არც
ის გახლავთ რაც დღეის დღეს უნდა იყვეს. ამ დალაცვი-
ლებს სწავლა-ცოდნა ისე ამ აინტერესებთ, როგორც მე აქა-
ური გამგელებული ბუზები არ მეინტერესება. ამიტომაც
არის რომ ერთათ ერთი მუნჯური სასწავლებლით იღლათ
მიღიან ამ ოცდა შეცდი წლის განმავლობაზე და დღესაც არ
ფიქრობენ დროის შესაფერ სასწავლებლის დაასებას; ამ სა-
სწავლებელს ვიღომაც სამეურნეო განყოფილება დაუარსა და
პატარა ცხინვალელები რო ბაღში მეცანეობდნენ დიდებს,
ესე იგი, მშობლებს სიცილით არა ჰყოფნიდათ და გაიძახოდ-
ნენ: მუშაობა თუ გვიდოდეს მზა გამართული ვენახები
გვაქვს და იქ ვამუშავებდითო. ალბათ ამ ვიღაცამ გაიგო,
იწყინა და იმ განყოფილებას მასწავლებელი გაშორა და სა-
ხრავი სახელით და დარჩა და ჩემნა პატია მუშებმაც დაისვე-
ნეს. აი როგორი შეხელულ ბესა გახლავან ცხინვალელები
ტეხნიკა მეურნეობაზედ. არიან თითო-ორთულა მამები, რომ-
ლებსაც სწავლის სიტყბოს გემოს აღრევე მიუხდნენ, უკანა-
სკნელი სახსარი ცხოვერებისა არ დაზოგ ს და თავიანთ შვი-
ლებს გემნაზია უნივერსიტეტში ზრდიან. ეს ახალგაზდობა
რომ არ ყოფილიყო ცხინვალს წყალი და მეწყერი წაიღე-
და. აი ეს ახალგაზდობა შემოსულ როხელებთან ერთად ხე-
ლი ხელ ჩაკიდებული ცდილობენ აყვავ ბას. უწინარეს ყოვ-
ლისა ბოჭალ მაყაშვილის მეთაურობით დაიგო მთელი მიყ-
რუებული ქუჩებიც კი, აგრეთვე მოუმატეს ფარნები, შეიძი-
ნეს საუკეთესო ადგილი ხიდის მარჯვენა მხარეს გურადაშვი-
ლებისაგან ზოგი შეწირულებით და ზოგიც მცირე საფასით,

რისათვისაც მაღლობის ლირსნი არიან ეს ძველის ძველი მეოჯახე ხალხი. ამ ადგილის შექნაში ზოგიერთმა ცხინვალელებმაც ისახელა თავი ფულის შეწირვით, სადაც უკვე შეუდგნენ სცენისათვის თავშესაფარის აგებას რაც ოთხს სულ ადამიანს დაიტვეს; მართალია ამ ადგრლის ბაღათ გაშენება მისი შემაგრებ შეკეთება ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ცხინვალის თვალი იქნება, საღაც ყოველისფრი შიგ მოუთავსდებათ სასეირნო ბალითურთ. აგრეთვე მოაწყეს აკებულ აოხრებული და თავ განებებული სამკითხველო; მოზღით უფასოთ „ამირანი“ „ნიშალური“ სომხური „მუშა“ და ზარი, რუსული „ზაკავკაზიე“ „ტიფლისკი ლისტრუკი“ და რუსეთის „სოვერემენი სლოვო“ რისთვისაც დიდ მაღლობას უძღვნიან რადაქციებს სამკითხველოს გამეგნი.

ზეთ მოგასხსნეთ აქაური ჩინონიკობა მოსწავლე ახალგაზღდობა და ზოგიერთები ჯანსა და ღონებს არ ზოგავენ რომ ცოდნის სხივი შეაშუქონ ამ უკან ჩამორჩენილ კუთხეში და მართავენ ჭარმოდგენებს, კითხულობენ ლექსებს, მართავენ საღამოებს, მაგრამ ვინ და სად არის თანამგზანობი? ზოგიერთა დაობებულ ჭკუის პატრონებს სათავილოთაც მიაჩნია სცენაზედ ყმაწვილი ქალისა და ვაჟის ერთად გამოსვლა და შეილებს სასტრიკად უშლიან. აი უშრავლესობა რა ჭკეის ხალხი გვეყავს ამ ცხრას ათას კვამლიან დაბაში. გაზეთის გამომწერლების ხუთ თითხედ ჩამოითვლი და თუ მუქთი გაზეთი და მეკითხველი ჩაიგდეს ხელში უყვარტ უტრის დაგდება ზოგიერთი აქაური ამბებისა მაინც, ევროპის და სხვათა ამბები მავდენით არ აინტერესებთ და ხშირათ მკითხველს კითხვას აწყვეტილებენ და სხვოვენ ერთი მოძებნე ეგება რკინის გზისა ეწეროს რამეო, ასე გულით უნდათ კავაზედ რკინის გზის გაყვანა ხოლოთ ჩასაკურველია მზა მზარეულათ, კრინტის დაუძვრელად, განვრეტილ კაპეიქს არ დაპრაჯავს მის საჭიროებისათვის; აგრეთვე არ აინტერესებთ კოოპერატიული ამხანაგობა შეძლებული ყოველთვის თავის ჯების გასქელებისათვის ცდილობს და ღრიბს ვიღა გამტუქნებს, როცა არა აბადია რა. ამ ჩვენგნა მონათლულ ერთობასა თუ უღმერთობას ისე გაუთასირ-გაულარიბებია რომ საერთოს რისამე გაგონებაც-კა ეუცხოება.

აქაური პოლიცია თუ ერთსა და ორ საქმეს გულმოდგინეთ ეკიდება, სამსა და ოთხს უსულ-გულოთ. აი მაგალითებიც: აქაური სასწორი ისეთი კაცისათვის ჩაუგდიათ ხელში, რომ თავის სიცოცხლის დღენი ავკაციაში გაუტარებია და თვითულ გლეხს სამოთხ ფუთში 15—20 გირგვნებს პპარატს. ამასთან მოგეხსენებათ გლეხს ერთი კვირა უქმე დღე აქვს თავისუფალი, რომ ბაზარში ივაჭროს ოჯახისათვის, გადმოდის 15—20 ვერს-დგან და ცარიელი ბრუნდება რადგან დუქები დაკეტილები უხვდება. საჭიროა სუთოაბის დასაცველად შუა ადგილას მოედანი იგულონ სადმე, რომ ყველამ ერთნაირათ ისარგებლონ, თორემ დღევანდელი სასწორითა და მოედნით ერთი სარგებლობენ და მეორენიკი ვერა. შემორანილი შეშისა თუ სხვა ურმები ქუჩებში დგანან და იხრწება აქაურობა.

დროებით ცხინვალელი

პირთუთა. აქაური ჩამე-რუმე. სიმართლე გითხრა, ერთობ მოძალლონენ აშლოლანი ბიჭები, რომლებიც ბშირად ნავარდობენ ლამაზ-ლამაზ მანდილოსნებზედ. ან და რა უნდა მოისაქმონ ამაზედ უკეთესი ასეთ უსაქმობის და უქანების დაწყველილ ხანაში? ლამაზებზედ ნადირობას თქვენი ჭირიც წაულია!.. ეს მხოლოდ დელვათავნების დროებითი

დასაკმაყოფრლებელი საშუალებაა და როცა ცოლებს გიჩენენ „აფხანიკები“, რასაკეირველია, თავის თუთულ წერტილებზე სხვის ლამაზებზედ ლამით ნავარდობა, თუმცულ შემწერების დება.. „მგზავი მგზავს შობსო“ გამიგონია...

დიახაც სამწუხარო და საკალალო, რომ შავი ქვის საბჭოს მოსამსახურებში შიმშილობა გაჩენილა და, რა თქმა უნდა, ცარიელი კუჭი ხოლერის გაჩენასაც ხელს შეუწყობს, ამიტომაც გაჭირვებაში ჩავარდნილ საბჭოს მოსამსახურებს განუზრახავთ ხაზინიდან პურის სასყიდლად სესხის აღება. საბჭოსათვისაც არა ერთხელ მიუმართავთ თხოვნით, რომ რადგანაც ჯამაგირებს არ გვაძლევთ ამისათვის, რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვაშველეთ ქუთასიდან უქვილი და ამით ჯაიხისით ჩვენს ცოლშევილს სიმშილისაგანო, მაგრამ ეს მეხუთე თვეა ამზედ პასუხს არ იძლევა. ამბობენ 1905 და 1906 წ. უნის ინაზღაურებს მოსამსახურებზედაც. მიუხედავად ამისა მოსამსახურებმა დაავალეს ვლ. ზარიტონოვს გამოიკვლიოს თუ რამდენი ფუთი ფქვილი ეყოთ ერთი წლის ვადაში საბჭოს დამშეულ მოსამსახურებს და სწორი სტატისტიკა წარედგინოს თვით საბჭოს. ვნახოთ ასეთ სტატისტიკის შემდეგ საბჭო რა ზომას მიიღებს...

რამდენად მართალია არ ვიცი, მხოლოდ კანტი-კუნტად გვეურებება, თითქოს ერთს საბჭოში ყოფილს წევრთაგანს (თუ ეს გამართლდა, შიმშილობა მაშინ იყითხეთ.) განუზრახავს გამოაშეარაოს ის საჯ ბისურო საქმეები, რომლებსაც საბჭოს ზოგი „სპეციალისტები“ ამზადებენ ხოლმე. ჩვენ მეტი რა გვეტქმის გარდა მაღლობისა, თუ ამდენი მოქალაქობრიობა გამოაჩინა. ამ უბადლო გმირმა, მაგრამ ვეკვიბ...

მიუხედავად ჩამოვარდნილ განხეობილებისა საბჭოსა და მოსამსახურებ შორის, საბჭოს დიდებული გვამნი ინუ. საპიკი, ბუღალტერი კრინიცკი და უქიმი კარტაშვილი უკვე დაბრუნებდნენ სამ-სამი თვის „ოტპუსიდან“ და ამ კვირაში ხელ მეორედ აძლევს საბჭო სამ-სამი თვის „ოტპუსს“ წვრილ მოსამსახურ ეებს მაგიტრად, რადგანაც ამ უკანასწერლო რა აქვთ ნება ისარგებლონ თავისუფლებით და ამათ მაგირად, რასაკე რეველია, ჯამაგირის შენახვით ანებივრბს საბჭო ზემო დასახელებულ გვამებს. აი, ამას ჰქევა სამართალი და მიუღომლობა!...

რამდენათაც საბჭო სასტრიათ ეკიდება თავის ზოგიერთს წვრილ მოსამსახურებს, იმდენათ ლმოპ ერათ და პატივისცემით ეკყრობა მარგანეცის მდიდარი მრეწველი ბ-ნი შუცი მსახურო, რომელსაც განუზრახავს 10000 მან. დაასაჩუქროს თავის ჭიათურელი მოსამსახურები 70000 ფუთი პლასტის „გაიმასქნის თვის“. აი, სად ლირს თურმე სამსახური? ასეთი დიპლომატი მოსამსახურები, რომ საბჭოს ყავდეს, რასაკე რეველია შიმშილობა არ გაუჩნდებოდათ, მაგრამ ნათქვამია: „ცოდვა მართალთაო“.

ცოდვა მაღლზედ რომ საქმე მიღება, რა თქმა უნდა, იქ ხეირი არავის დაეყრება და არც აქაური ლიპიანი მიკიტან-სარაჯები გაურბის ცოდვა-მაღლის შიშს. ყვირილის წყალს ერთობ კარგს ფასში ასაღებენ თავზედ ხელ აღებული „მიკიტანიკები“. წასულ კვირაში მ. თხელიძეს, ივ. ჭავჭანიძეს და ნიკიფ. ლუტიძეს ბლოკი შეუკრავთ 20—25 კაპ. ნაკლებ არ გაყიდონ ჩარეკი ღვინო, როდესაც თვით 5—6 კაპ. უჯდებათ. ამის შემდეგ შეიძლება რაიმე სხვა სახელი უწოდოს კაცმა ჩვენს მიკიტანებს გარდა „ჩარჩისა“?..

